განაცხადი ქვემო სილეზიის სავოევოდოს საბჭოსა (სეიმიკი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 11.05.2017

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც განმტკიცებულია ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულებით ქვემო სილეზიის სავოევოდოსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, რაც მიზნად ისახავს რეგიონების საზოგადოებების ურთიერთქმედების კავშირების გაძლიერებას ადგილობრივი პარლამენტების (წარმომადგენლობითი ორგანოების) წარმომადგენლების თანამშრომლობის მეშვეობით, ქვემო სილეზიის სავოევოდოს საბჭო (სეიმიკი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში მემორანდუმის ტექსტში ნახსენები, როგორც მხარეები) თანხმდებიან:

§ 1

ქვემო სილეზიის დეპუტატებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების თანამშრომლობის გაღრმავებაზე შემდეგი მიმართულებებით:

- ეკონომიკა, მცირე და საშუალო მეწარმეებისა და ასევე ბიზნეს წრეების წარმომადგენლების დაკავშირება;
- ევროპული ინტეგრაციის იდეისა და იმ ღირებულებების პოპულარიზაცია, რომლებიც მას საფუძვლად უდევს;
- თვითმმართველობის განვითარება, დეცენტრალიზაცია და მოქალაქეთა საზოგადოებრივი ჩართულობა ხელისუფლების ყველა დონეზე;
- სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება, ცოდნისა და ინფორმაციისადმი თავისუფალი ხელმისაწვდომობა;
- განათლება და საგანმანათლებლო ღონისძიებები, სტუდენტებისა და დიდაქტიკური პერსონალის გაცვლითი ღონისძიებები;
- კულტურის, ისტორიული მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ურთიერთპატივისცემა;
- გაცვლითი ტურისტული ღონისძიებების განვითარება და პარტნიორული სახელმწიფოს პოზიტიური იმიჯის შექმნა.

§ 2

1. ქვემო სილეზიის დეპუტატები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები განახორციელებენ თანამშრომლობას ურთიერთმხარდამჭერი ღონისძიებების მეშვეობით, სასწავლო და გაცვლითი ვიზიტების ორგანიზების სახით, ერთობლივი სესიებით საკანონმდებლო და საპარლამენტო ორგანოების მონაწილეობით და სხვა შეხვედრების მეშვეობით, რომლებიც გააღრმავებენ რეგიონთაშორის თანამშრომლობას.

2. ცალკეული ღონისძიების ჩატარებისა და სხვა სახის ერთობლივი მოქმედებების განხორციელების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად, წინამდებარე მემორანდუმის პრინციპების საფუძველზე.

§ 3

ქვემო სილეზიის დეპუტატები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები განახორციელებენ მონიტორინგს რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელებაზე და მხარს დაუჭერენ ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებას.

§ 4

ძალაში შევიდა 2017 წლის 11 მაისს, ქ. თბილისში, წარმოდგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად პოლონურ და ქართულ ენებზე, ორივე ტექსტს თანაბარი ძალა მიენიჭა.

ქვემო სილეზიის სავოევოდოს
სეიმიკის სახელით

Paweł Wrubleweski

პაველ ვრუბლევსკი

ქვემო სილეზიის სავოევოდოს
სეიმიკის თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს სახელით

დავით გაბაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

Oświadczenie o współpracy pomiędzy
Sejmikiem Województwa Dolnośląskiego
a Radą Najwyższą Autonomicznej Republiki Adżarii

Tbilisi 11.05.2017

Powołując się na partnerskie relacje potwierdzone umową międzyregionalną zawartą pomiędzy Województwem Dolnośląskim a Autonomiczną Republiką Adżarii, w celu wzmocnienia więzi pomiędzy społecznościami regionalnymi poprzez współdziałanie lokalnych parlamentów, przedstawiciele Stron postanawiają o:

§ 1

Pogłębieniu współpracy pomiędzy Radnymi Województwa Dolnośląskiego a Deputowanymi Rady Najwyższej Autonomicznej Republiki Adżarii w następujących dziedzinach:

- gospodarki, wspierania współpracy małych i średnich przedsiębiorstw oraz łączenia środowisk gospodarczych;
- promocji idei integracji europejskiej oraz wartości, które leżą u jej źródeł;
- rozwoju samorządności, decentralizacji oraz partycypacji społecznej obywateli na wszystkich szczeblach władzy;
- aktywizacji społeczeństwa obywatelskiego, wolności dostępu do wiedzy i informacji;
- edukacji i szkolnictwa, ze szczególnym uwzględnieniem rozwoju wymiany kadry dydaktycznej i studentów;
- kultury, dziedzictwa historycznego oraz poszanowania tradycji i zwyczajów;
- rozwoju wymiany turystycznej oraz budowania pozytywnego wizerunku kraju partnera.

§ 2

1. Radni Województwa Dolnośląskiego oraz Deputowani Rady Najwyższej Autonomicznej Republiki Adżarii będą współpracowali poprzez wzajemne kontakty, organizację wizyt studyjnych oraz seminariów, wspólnych posiedzeń statutowych organów parlamentów stron oraz innych spotkaniach pogłębiających współpracę międzyregionalną.
2. Realizacja poszczególnych wydarzeń i innych wspólnych działań będzie zorganizowana na podstawie dalszych negocjacji między stronami, zgodnie z zasadami zawartymi w niniejszym oświadczeniu.

§ 3

Radni Województwa Dolnośląskiego oraz Deputowani Rady Najwyższej Autonomicznej Republiki Adżarii będą także monitorowali realizację umowy o współpracy międzyregionalnej i wspierali wyznaczanie jej nowych kierunków.

§ 4

Sporządzono 11 maja 2017 roku w Batumi, w dwóch jednakowych egzemplarzach, w języku polskim i gruzińskim, przy czym oba teksty mają jednakową moc.

W imieniu	W imieniu
Paweł Wróblewski	**Davit Gabaidze**
Przewodniczący Sejmiku Województwa Dolnośląskiego	Przewodniczący Rady Najwyższej Autonomicznej Republiki Adżarii